ქ. გორი გრ. ფერაძის ქ. N5 ტელ: 558 11 11 12 ელ-ფოსტა:
gorisparlamentarisbiuro@gmail.com

29.06.2018-წ

ქალბატონო ნინო

თქვენი 2018 წლის 11 ივნისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის თენგიზ ხუბულურის ბიუროში დასაქმებულია ხუთი თანამშრომელი.

ბიურო ფინანსდება საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტიდან, ყოველ თვიურად დარიცხული თანხა შეადგენს 4300 ლარს, საიდანაც თანამშრომელთა ხელფასებისათვის გათვალისწინებულია 3600 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა ხმარდება ბიუროს საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და სხვადასხვა საქმიანობას . (ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენ ვებ-გვერდს: [თემურ ხუბულური- გორის მაჟორიტარის ბიურო / Temur Khubulur)](#)

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად ბიურო ორგანიზებას უწევს ამომრჩეველთან მუშაობას, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაში მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მონაწილეობას ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის მიზნით.
2016 წლის ნოემბრიდან დღემდე საკანონმდებლო ინიციატივები არ დაუყენებია თენგიზ ხუბულურს. 2017 წლის 18 ივნისს საქართველოს პარლამენტის წევრის თენგიზ ხუბულურის ინიციატივით ჩატარდა სპრტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის გასვლითი სხდომა გორში. კომიტეტის წევრებმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები დაათვალიერეს და აღნიშნეს, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მასსტაბურ ხასიათს მიიღებს.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ბიუროს ინიციატივით ჩატარდა სხვადასხვა სპორტულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. სისტემატიურად უწევს მონიტორინგს მუნიციპალიტეტის თემებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ადგილზე ჩავიდა და შეხვდა სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას, გაეცნო მათ პრობლემებს და შუამდგომლობა გაუწია შესაბამის უწყებებთან, ბიურომ განიხილა მოქალაქეთა წერილები და საჩივრები, განცხადებაში დასმული საკითხების ირგვლივ მომზადდა შესაბამისი დასკვნები და წინადადებები, რითაც მიმართა შესაბამის ორგანოებს. 2018 წლის საანგარიშო პერიოდში ბიუროს

განცხადებით მომართა 225 მოქალაქემ, ზეპირსიტყვიერი კონსულტაცია გაეწია 90 მოქალაქეს, შესაბამის სამსახურებს ბიურომ მიმართა 225 წერილით, თენგიზ ხუბულურის ინიციატივით ბიურო პერიოდულად უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფასო სამედიცინო გამოკვლევას.

ჩვენს რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და სპორტის პოპულარიზაციის მიზნით ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის სპორტის სამსახურთან.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრის

თენგიზ ხუბულურის ბიუროს ხელმძღვანელი

სოლომონ გოგიჩაიშვილი